ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობები (ხელშეკრულება) # MCI/RE/001/24

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მზღვეველსა და დამზღვევს და შორის გაფორმებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების დადების შესახებ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო პოლისი. დაზღვევა განხორციელდება დამზღვევის მიერ რისკის შესახებ დამზღვევისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამზღვევის მიერ რისკის შესახებ მზღვეველისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, წინამდებარე პირობები (ხელშეკრულება), პოლის(ებ)ი და ნებისმიერი დანართი (ასეთის არსებობისას) წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს და განიხილება როგორც მხარეებს შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულება.

პოლისისა და ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის (კოლიზია) არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პოლისით განსაზღვრულ დებულებებს.

ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი;

დამზღვევი - პოლისში მითითებული პირი, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ აზღვევს ავტოსატრანსპორტო საშუალებას;

მოსარგებლე - პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება - პოლისში მითითებული დამზღვევის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება;

დაზღვევის ხელშეკრულება (შემდგომში - დაზღვევის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება) - წინამდებარე პირობების/ ხელშეკრულების, პოლის(ებ)ის და დანართ(ებ)ის (ასეთის არსებობისას) ერთობლიობა;

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, *რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს;*

სადაზღვევო პერიოდი - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში და რომლის განმავლობაში დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

სადაზღვევო შემთხვევა - მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად მზღვეველი ვალდებული ხდება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების და პოლისის პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით (დაზღვევის თითოეული სექციისათვის ცალ-ცალკე) განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი გასცემს ანაზღაურებას სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში; პოლისით შესაძლოა განისაზღვროს ქველიმიტი კონკრეტული შემთხვევის, საგნის, რისკისათვის, სექციისთვის გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში; სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ სადაზღვევო თანხა კონკრეტული სექციისათვის მცირდება ანაზღაურებული ოდენობით.

ერთჯერადი ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხობრივი ლიმიტი, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა, ასეთი ლიმიტი სრულად გაიხარჯა თუ არა) იგი სრულად ამოწურულად ითვლება; ამასთან ერთჯერადი ლიმიტი წარმოადგენს ჯამური ლიმიტის ნაწილს და ჯამური სადაზღვევო თანხა მცირდება ერთჯერადი ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხით.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

უფლებამოსილი მძღოლი (შემდგომში - მძღოლი ან უფლებამოსილი მძღოლი) - სადაზღვევო პოლისში მითითებული, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების, შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობის მქონე პირ(ებ)ი, რომლის ასაკობრივი ზღვარი და მართვის გამოცდილება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის განსაზღვრულია პოლისით. უფლებამოსილი მძღოლი წარმოადგენს პირს, რომელიც დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მოქმედებს დამზღვევის სახელითა და შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული ქმედება სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის განიმარტება, როგორც დამზღვევის მიერ და მისი სახელით განხორციელებული ქმედება. იმ შემთხვევაში, თუ პოლისით განსაზღვრულია უფლებამოსილი მძღოლების დამატების შესაძლებლობა ულიმიტოდ, იგულისხმება, რომ მძღოლი უნდა იყოს არანაკლებ 21 წლის, არანაკლებ 1(ერთი) წლის გამოცდილების მქონე, გააჩნდეს საქართველოს მოქალაქეობა ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოწმობა, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ფრანშიზა - პოლისით განსაზღვრული თანხა, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას. ფრანშიზის ოდენობა და მისი კონკრეტული ტიპი განისაზღვრება პოლისით. თუ პოლისით ფრანშიზის ტიპი არ არის განსაზღვრული გამოიყენება უპირობო ფრანშიზა. ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

პირობითი ფრანშიზა - თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალის ოდენობა ამ პირობითი ზღვრის ოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მზღვეველი მას არ აანაზღაურებს. თუ ზარალის ოდენობა აღემატება ამ პირობითი ზღვრის ოდენობას, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალის სრულ ოდენობას.

უპირობო ფრანშიზა - თანხა, რომელიც გამოაკლდება ასანაზღაურებელი ზარალის თანხას ყოველი და თითოეულ შემთხვევისათვის.

დაზღვევის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები;

გზა – მოძრაობისათვის გახსნილი გზის ან ქუჩის მთელი ზედაპირი. გზას შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთი სავალი ნაწილი, ისე რამდენიმე, გამყოფი ზოლით მკვეთრად გამიჯნული ან სხვადასხვა დონეზე არსებული სავალი ნაწილები. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ტრამვაის ლიანდაგს, ტროტუარს, გვერდულას, გამყოფ ზოლს, ველობილიკს, თოვლზე/ყინულზე სასრიალო ზონას (ტერიტორიას). გზა შეიძლება იყოს მკვრივსაფრიანი (ასფალტის, ცემენტ-ბეტონის ან სხვა მსგავსი მასალის ან ქვაფენილის საფრის მქონე), ღორღიანი ან გრუნტოვანი.

საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით.

მიმდებარე ტერიტორია – ტერიტორია, რომელიც უშუალოდ გზას ეკვრის და არ არის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამჭოლი მოძრაობისათვის (ეზო, საცხოვრებელი მასივი, ავტოსადგომი, ბენზინგასამართი სადგური, დაწესებულება და სხვა).

არაქარხნული დეტალები - დეტალები, რომელიც ემსახურება ავტომობილის ქარხნული კომპლექტაციის ვიზუალურ ან ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ცალკეული დეტალები და *აქსესუარები* - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები, კომუნიკაციის სისტემები, აუდიო და ტელეაპარატურა და გართობის სხვა საშუალებები;

ცალკეული დაზიანება - ავტოსატრანსპორტო საშუალების მინების, აქსესუარების, დეტალების/ნაწილების უეცარი და შემთხვევითი დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

პლასტმასის, მატირებული (არა პრიალა) ზედაპირის მქონე დეტალები - კერძოდ ბუფერი, ბუფერის ქვედა დამატება, ბუფერის ბადე, ბუფერის სანისლე ბადე და ხუფი, ბუფერის შხეფდამცავი, ბუფერის დამცავი, ფრთის მოლდინგი, კარის მოლდინგი, ფრთის შხეფდამცავი, ქვედა საყრდენის მოლდინგი, ფეხსადგამის ზედა საფარი/ჩარჩო.

ავტო-ასისტანსი - გულისხმობს პოლისში შესაბამისი ჩანაწერის არსებობისას, დაზღვეული მსუბუქი ავტომობილებისათვის სარგებლობას შემდეგ მომსახურებებზე: საბურავის შეცვლა დაზღვეულის კუთვნილი სათადარიგო საბურავით, აკუმულატორის დამუხტვა ელექტრო ხელსაწყოს მეშვეობით, საწვავის მიწოდება (საწვავის ღირებულებას იხდის დაზღვეული) და ლაფეტით (ევაკუატორით) მომსახურებას იმავე დაფარვის არეალში უახლოეს შემკეთებელ პუნქტამდე (იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის საკუთარი სვლით გადაადგილება ვერ ხერხება). აღნიშნული მომსახურებების ტერიტორიული არეალია თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი, ფოთი და მათი შემოგარენი 25 კმ რადიუსის ფარგლებში;

ავტოსაგზაო შემთხვევა - დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საავტომობილო გზაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობის დროს, ან მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.

ქურდობა - ავტოსატრანსპორტო საშუალების ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ძარცვა - ავტოსატრანსპორტო საშუალების აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ყაჩაღობა - ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ვანდალიზმი - მესამე პირის მიერ, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების განზრახ დაზიანება; ამ დაზღვევის მიზნებისათვის აღნიშნული რისკი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც დაწყებულია სისხლის სამართლის საქმე / შესაბამისი საგამოძიებო ქმედება.

მესამე პირი - ნებისმიერი პირი, გარდა დამზღვევის, მოსარგებლის, მათი ოჯახის წევრების, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის/მძღოლებისა და მგზავრებისა (მგზავრობის ან მასში ჩაჯდომა/გადმოსვლის პერიოდში).

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის მოქმედების დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ანალოგიური მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

სრული ზარალი / განადგურება - დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა (როდესაც მისი პოვნა ვერ ხერხდება შემთხვევის დადგომიდან 3 (სამი) თვის მანძილზე) ან სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ისეთი დაზიანება, როდესაც მისი აღდგენის ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს, ან მეტს შეადგენს.

აღდგენის ღირებულება - თანხა, რომელიც საჭიროა დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად.

ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი დაზიანებული ქონების ღირებულება.

სამუშაო დღე - წინამდებარე პირობების მიზნებისათვის სამუშაო დღედ ჩაითვლება დღეები ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დასვენებისა და უქმე დღეების გამოკლებით. სხვა შემთხვევაში, პირობებში მითითებული დღე/დღეები ითვლება კალენდარულ დღედ/დღეებად.

პროპორციული ანაზღაურების პირობა – თუ ზარალის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ქონების საბაზრო ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება იმ პროპორციით, რა პროპორციაც არის სადაზღვევო თანხასა და საბაზრო ღირებულებას შორის.

დისტანციურად დადებული ხელშეკრულება - დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის, მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება – დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამზღვევმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მზღვეველისაგან სარეწის გარეთ, მზღვეველისა და დამზღვევის ფიზიკური თანაყოფობისას.

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა, ამასთან, თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა (სექცია CASCO)

1.1. დაზღვეული რისკები

1.1.1. წინამდებარე სექციით დაზღვეულია პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ საავტომობილო გზაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე მიყენებული ზიანი ქვემოთ ჩამოთვლილი რისკების შედეგად:

1.1.1.1. ავტოსაგზაო შემთხვევა;

1.1.1.2. ხანძარი, აფეთქება;

1.1.1.3. საგნების დაცემა;

1.1.1.4. სტიქიური მოვლენები: მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი,მეხის დაცემა;

1.1.1.5. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი ან/და მათი მცდელობით მიყენებული ზიანი;

1.1.2. დამატებით, შესაბამის პოლისში ასეთი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ერთჯერადი ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდეს ზიანი/ზარალი:

1.1.2.1. **არაქარხნული ცალკეული დეტალების და აქსესუარების** ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან დაზიანება / განადგურება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად. დაზღვევამდე წარმოდგენილ უნდა იქნეს დასაზღვევი მითითებული ქონების დახასიათება, მისი დეტალები, ფოტოსურათები და ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ერთხელ - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

1.2. სადაზღვევო ანაზღაურება

1.2.1. **სრული ზარალის შემთხვევაში -** სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის საბაზრო ღირებულების შესაბამისად, პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა (ასეთის არსებობისასს), სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი პუნქტი 4.3.18-ის შესაბამისად და ნარჩენი ღირებულება 4.3.16.-ის შესაბამისად; იმ შემთხვევაში, თუ სრული ზარალის დადგომამდე გაცემული იყო ანაზღაურება და არ მოხდა სადაზღვევო თანხის აღდგენა, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება უკვე გაცემული თანხა.

1.2.2. **სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას,** მზღვეველი მოსარგებლეს აუნაზღაურებს ზარალის ოდენობის შესაბამის თანხას, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, გულისხმობს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების ღირებულებას, რაც მზღვევლის გადაწყვეტილების შესაბამისად შემცირდება შემდეგი ოდენობით: პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა (ასეთის არსებობისას), სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი 4.3.18-ის შესაბამისად;

1.2.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად **პლასტმასის, მატირებული (არა პრიალა) ზედაპირის მქონე დეტალების** დაზიანება (გარდა ასეთი დეტალების გატეხვის, არსებითი დეფორმაციის ან ფრაგმენტის დანაკლისისა) წინამდებარე დაზღვევით იფარება დამზღვევის თანამონაწილეობით, კერძოდ ასეთი დეტალის ღირებულების 80% ანაზღაურდება მზღვეველის მიერ, ხოლო 20% დამზღვევის მიერ. ამასთან, თუ მზღვეველის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ შესაბამის შემკეთებელ საწარმოში გადარიცხვის გზით. პლასტმასის, მატირებული (არა პრიალა) ზედაპირის მქონე დეტალების გატეხვის, არსებით დეფორმაციის ან ფრაგმენტის დანაკლისის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა თანამონაწილეობის გარეშე.

1.2.4. საბურავების დაზიანება ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაზღვეული რისკების დადგომის შედეგით, და ამ შემთხვევის შედეგად საბურავების გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა ნაწილებიც დაზიანდა; ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის დისკი ისე, რომ დაზიანება ხელს არ უშლის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო ექსპლოატაციას, ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ საბურავის დისკის შეკეთების ღირებულებას.

1.2.5. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, სადაზღვევო თანხა დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების პროპორციულად, პროპორციული დაზღვევის პრინციპის შესაბამისად; ამასთან, ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის მიყენების შემდეგ.

1.2.6. ხარჯები გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით, რომლის დროსაც დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება თავისი სვლით ვეღარ გადაადგილდება ექვემდებარება ანაზღაურებას, რაც მოიცავს ევაკუაციას საქართველოს მასშტაბით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ადგილიდან ავტოშემკეთებელ პუნქტამდე, ან სხვა უსაფრთხო ადგილამდე. ევაკუაციის ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო სასუალების სადაზღვევო ლიმიტიდან.

1.2.7. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ გადააჭარბებს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებას.

1.2.8. ელექტრომრავიან ავტომობილებთან / ელექტრომობილებთან მიმართებაში სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ნებისმიერი სახის პროგრამული შემოწმების/შეკეთების საჭიროების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სერვის/ავტო-ცენტრების მომსახურება;

1.2.9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად, დაზღვეული დაზიანებული/განადგურებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზიანის ოდენობის შეფასება ან/და შეკეთება ხდება მზღვეველის მიერ შერჩეულ ავტოსახელოსნოში;

1.2.10. თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ასაკი არ აღემატება 3 (სამი) კალენდარულ წელს და დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე ვრცელდება საგარანტიო პერიოდი (რაც უნდა იქნას დოკუმენტურად დადასტურებული, მათ შორის სადაზღვევო პოლისით), დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება მოითხოვოს საქართველოში არსებულ, შესაბამისი მარკის ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრში. ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების ღირებულება, ავტოსატრანსპორტო საშულების შეკეთების მიზნით, მზღვეველის მიერ გადაირიცხება ამავე ქვეპუნქტში მითითებულ სერვისცენტრში; იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისში ზემოაღნიშნულის შესახებ პირდაპირ არ არის ინფორმაცია მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასება მოხდება მზღვეველის მიერ შერჩეულ პროვაიდერ სერვისცენტრში.

1.2.11. მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს დაზიანებული, მაგრამ ექსპლოატაციისათვის ვარგისი სათადარიგო ნაწილების შეკეთების ხარჯები ან, თუ დაზიანებული სათადარიგო ნაწილები შეკეთებას არ ექვემდებარება, მეორადი მოხმარების სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისა და დაყენების ხარჯები

ამასთან, თუ საქართველოს ბაზარზე შეუძლებელია მეორადი ორიგინალი ნაწილების მოძიება, ანაზღაურდება აღნიშნული დაზიანებული ნაწილების ახალი არა-ორიგინალი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულება; ამასთან მზღვეველი არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ სათადარიგო ნაწილზე ან/და მათ წუნზე, ხარისხზე, დეფექტზე ან/და ტრანსპორტირებაზე;

1.2.12. **ელექტრონული დეტალების ნაწილობრივი დაზიანებისას ანაზღაურებას ექვემდებარება:**

- ელექტრონული დეტალ(ებ)ის შენაცვლების და/ან აღდგენის ღირებულება;
- ჩანაცვლების, აღდგენის და/ან პროგრამული მომსახურების ღირებულება.
- ჩანაცვლება გულისხმობს დაზიანებული ელექტრონული ნაწილის იგივე გამოშვების წლის ზუსტი ანალოგით ჩანაცვლებას, 1.2.11. პუნქტის შესაბამისად;
- ელექტრონული დეტალი არ გულისხმობს ისეთ ელექტრონულ დეტალს, რომელიც განთავსებულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის გარე ძარაზე.

1.3. გამონაკლისები ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევისათვის (CASCO)

ამ დაზღვევით არ ანაზღაურდება:

1.3.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯები;

1.3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანების ხარჯები (მიუხედავად იმისა იყო თუ არა ამის შესახებ დამზღვევისათვის მოსარგებლისათვის ან/და უფლებამოსილი მძღოლისათვის ცნობილი);

1.3.3. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არსებული მათ შორის ფულის, დოკუმენტების, პირადი ნივთების და ა.შ. დაკარგვა/დაზიანება;

1.3.4. გამონაბოლქვი სისტემის შემადგენელი ნაწილის, ე.წ. კატალიზატორის ქურდობა. კატალიზატორის ქურდობის მცდელობისას მისი დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ აღნიშნული ფაქტის არსებობის დადასტურებისა და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაცნობისას:

ა) თუ დამზღვევის მიერ მოთხოვნილია სადაზღვევო ანაზღაურება გამოძიების დასრულებამდე და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილების გაცემამდე, მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნივერსალი კატალიზატორის ღირებულების შესაბამისად.

ბ) თუ დამზღვევი სადაზღვევო ანაზღაურებას ითხოვს გამოძიების დასრულების, შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილების გაცემის შემდეგ, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ორიგინალი კატალიზატორის ღირებულების შესაბამისად;

1.3.5. მოდიფიკაციები, ტენტები, შალითები, საღებავის დამცავი ფირების დაზიანება/ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, თუ ეს დამატებით არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

1.3.6. დამტენის დაზიანება;

1.3.7. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების არაქარხნული დეტალების, მოწყობილობებისა ან/და აქსესუარების დაზიანება ან/და ქურდობა, თუ პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

1.3.8. თანდაყოლილი დეფექტებით, შეუსაბამო დიზაინით, ეფექტური მასალების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ხარჯები;

1.3.9. თვითაალება; მოკლე ჩართვა, ხანძარი გამოწვეული მოკლე ჩართვით;

1.3.10. დაზღვეული ელექტრომრავიანი ავტომობილების (ე.წ. ელექტრომობილის და მათ შორის, ჰიბრიდის) დაზიანება მისი დამუხტვის დროს გადაჭარბებული ძაბვის, არასწორი დატენვის მეთოდის ან არასათანადო სამუხტი მოწყობილობის გამოყენების შედეგად, რომელიც არ შეესაბამება მწარმოებლის მოთხოვნებს;

1.3.11. ნებისმიერი ზიანი, გამოწვეული ტექნიკური გაუმართაობის შედეგად, მიუხედავად იმისა, დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას აქვს თუ არა გავლილი გეგმიური სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება.
1.3.12. ნებისმიერი ზიანი გამოწვეული ელემენტების გაუმართაობის შედეგად;
1.3.13. ტექნიკური ზიანი, რომელიც არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით.
1.3.14. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო გამონაკლისებში განსაზღვრული შემთხვევები.

2. მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (სექცია - MTPL)

2.1. სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო ანაზღაურება

2.1.1. პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში მზღვეველი აანაზღაურებს იმ თანხას, რომლის გადახდაც დაეკისრება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საავტომობილო გზაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე ექსპლოატაციის შედეგად მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის;

2.1.2. მზღვეველი აანაზღაურებს:

2.1.2.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი, ან მზღვეველის წინასწარი თანხმობის გარეშე მხარეთა შორის მორიგებისა) დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალისათვის;

2.1.2.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე - მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის შესაბამის თანხას, თუ მისი ოდენობა მზღვეველთან წინასწარ წერილობით იქნება შეთანხმებული. ამ შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ანაზღაურების ლიმიტს განისაზღვრება შემდგენაირად:

a) <u>მესამე პირის ქონებისათვის ზიანის მიყენებისას:</u>

i) ქონების განადგურების შემთხვევაში - ქონების საბაზრო ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება, თუ ნარჩენი ღირებულების გამოკლება არ ხდება, ანაზღაურებამდე საკუთრება აღნიშნულ ქონებაზე (რომელიც უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო (მათ შორის არ ფიქსირდებოდეს, ყადაღა, გირავნობა, ჯარიმა და ა.შ.) გადადის მზღვეველზე;

ii) ქონების დაზიანების შემთხვევაში - სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად;

b) <u>მესამე პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას:</u>

i) შემოსავალს, რომელსაც დაზარალებული მესამე პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული, ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, თუმცა არაუმეტეს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული მიღებული ჯამური შემოსავლისა;

ii) დაზარალებული მესამე პირის სამკურნალოდ საჭირო ხარჯები;

c) <u>მესამე პირის გარდაცვალებისას სადაზღვევო ანაზღაურება:</u> დოკუმენტალურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არაუმეტეს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა - გაიცემა მის მემკვიდრე/მემკვიდრეებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.1.2.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ მზღვეველთან წინასწარ შეთანხმებული სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯს, არაუმეტეს სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტის 20%-ის ოდენობით, რომელიც გაწეული იქნება, მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

2.1.2.4. მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად, დაზიანებული/განადგურებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზიანის ოდენობის შეფასება ან/და შეკეთება მოახდინოს მის მიერ შერჩეულ ავტოსახელოსნოში;

2.1.3. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე მესამე პირი და თუ დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო პოლისის შესაბამისი სექციით განსაზღვრულ ანაზღაურების ლიმიტს, თითოეული მესამე პირი ანაზღაურებას მიიღებს საერთო ზარალში მისი წილის პროპორციულად;

2.1.4. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თითოეულ დაზარალებულ მესამე პირზე გაცემული ჯამური თანხა არ გადააჭარბებს წინამდებარე სექციისათვის პოლისით გათვალისწინებულ ანაზღაურების საერთო ლიმიტის ოდენობას.

2.2. გამონაკლისები მესამე პირთა წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის (MTPL):

2.2.1. ზარალი მიყენებული დამზღვევის, მოსარგებლის, ან მათი ოჯახის წევრის ქონებისათვის, რომელიც იმყოფება მათ საკუთრებაში, ან მინდობილი საკუთრების სახით ინახება მათთან;

2.2.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა ან/და მგზავრებისათვის მიყენებული ზიანი;

2.2.3. ნებისმიერი ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომლის გადაზიდვაც ხდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ან მასზე მიმაგრებული მისაბმელით;

2.2.4. სხვა დაზღვევით დაფარული პასუხისმგებლობა;

2.2.5. დაზარალებული პირისათვის მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე გადახდილი კომპენსაცია, ან მის წინაშე აღიარებული, ან აღებული პასუხისმგებლობა;

2.2.6. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;

2.2.7. მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ან გარდაცვალება, თუ ის სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან თორმეტი კალენდარული თვის გასვლის შემდეგ დადგა;

2.2.8. დაზარალებულებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას უპირატესობა მიენიჭება ამ პროგრამებს. თუ ზიანის თანხა აღემატება სახელმწიფოს მიერ გადახდილ თანხას, დარჩენილ თანხას აანაზღაურებს მზღვეველი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;

2.2.9. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა „ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევით" მიღებული თანხის ზევით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (სექცია - MPA)

3.1. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი უბედური შემთხვევისას, მზღვეველი აანაზღაურებს (სადაზღვევო პოლისის შესაბამის სექციაში მითითებული ლიმიტის ფარგლებში) დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მსხდომი მძღოლისა ან/და მგზავრებისათვის მიყენებულ ზარალს. უბედურ შემთხვევას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზღვეული პირი (დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან/და მგზავრი) ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას საკუთარ სხეულზე გარეგანი უეცარი ზემოქმედების შედეგად მიიღებს ჯანმრთელობის დაზიანებას, ან გარდაიცვლება.

3.2. ანაზღაურებას ექვემდებარება:

3.2.1. გადაუდებელი ამბულატორული მკურნალობის ხარჯები;

3.2.2. საავადმყოფოში მიყვანის ხარჯები;

3.2.3. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯები;

3.2.4. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მის მემკვიდრეებს აუნაზღაურდებათ ერთ პირზე ქველიმიტით განსაზღვრული თანხის ოდენობა, უკვე ანაზღაურებული თანხების გამოკლებით;

3.2.5. მემკვიდრეების არ არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურდება მხოლოდ დაკრძალვის ხარჯები, ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის ფარგლებში;

3.3. ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი და ქველიმიტი ერთ პირზე განსაზღვრულია პოლისით.

3.4. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჯამური ზარალის ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო პოლისის ამ სექციით განსაზღვრული ანაზღაურების ლიმიტს, რამდენიმე პირისათვის ზიანის მიყენების გამო, ანაზღაურებას პროპორციულად მიიღებს თითოეული დაზარალებული, საერთო ზარალში თავიანთი წილის შესაბამისად;

3.5. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამ სექციის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების, რაოდენობისა და ოდენობის მიუხედავად, არ გადააჭარბებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას/ანაზღაურების ლიმიტს;

3.6. არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა ან/და მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

3.7. დაზარალებულთათვის, რომელნიც მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას უპირატესობა მიენიჭება ამ პროგრამებს. თუ ზიანის თანხა აღემატება სახელმწიფოს მიერ გადახდილ თანხას, დარჩენილ თანხას აანაზღაურებს მზღვეველი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

4. საერთო პირობები

4.1. საერთო გამონაკლისები

წინამდებარე პირობების თანახმად ზარალი არ ანაზღაურდება, თუ:

4.1.1. გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით, ან მასზე ვრცელდება მწარმოებლის, ან დილერის გარანტია;

4.1.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა სხვა დანიშნულებით, ვიდრე სადაზღვევო პოლისშია მითითებული;

4.1.3. ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადასაყვანად, ან ტვირთის გადასაზიდად, ან იგი გაქირავებული/იჯარით გადაცემული იყო, თუ ამგვარი გამოყენება შესაბამის სადაზღვევო პოლისში არ არის მითითითებული; ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისის გაცემისას ან/და სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისთვის ავტომატურად იგულისხმება, რომ ავტოტრანსპორტი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით. ამასთან, თუ კომერციული დანიშნულებით გამოყენება (მათ შორის ტაქსის ლიცენზიის არსებობის ფაქტი) არ არის დამზღვევის მიერ მითითებული შესაბამის განაცხადში/სადაზღვევო პოლისში ან/და პოლისის დანართში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

4.1.4. ზიანი გამოწვეული ამორტიზაციით, ცვეთით, გაუფასურებით, ჟანგვით, კოროზიით, მექანიკური და ელექტროსისტემების ნაწილების, მუხრუჭების, საწვავი სისტემების გაუმართაობით/ მწყობრიდან გამოსვლით/ მექანიკური ან ელექტრონული წუნით გამოწვეული ზარალი;

4.1.5. ცხოველების მიერ მიყენებული ზიანი;

4.1.6. ნებისმიერი ზიანი გამოწვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაგორებით;

4.1.7. თუ ავტომობილი გამოიყენება ნიტროგენის, დინამიტის, ან სხვა ფეთქებადი ნივთების გადასაზიდად, თხევადი გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებისთვის;

4.1.8. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური, ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულ იქნა თუ არა ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შედეგად ან მძღოლის ბრალით;

4.1.9. სადაზღვევო შემთხვევა დადგა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ თვითმკვლელობისას, ასეთის მცდელობისას, ან ისეთი განზრახი ქმედებისას, როგორიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;

4.1.10. სადაზღვევო შემთხვევა დადგა სამშენებლო/სამონტაჟო და სხვა სამუშაოების სამშენებლო/სამუშაო მოედანზე/ტერიტორიაზე შესრულებისას ან საჯარიმოზე გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე ყოფნისას;

4.1.11. ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული, თუ სხვა სახის ჯარიმა, ასევე, საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯი, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4.1.12. ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით (თუ მისაბმელი არ არის დაზღვეული);

4.1.13. ავტოსატრანსპორტო საშუალების (მათ შორის MTPL შემთხვევაში) დაზიანების პერიოდში ან მის შედეგად მიუღებელი შემოსავალი.

4.1.14. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში), გარდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობის შედეგად გამოწვეული დაზიანებისა; ასევე იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს კონკრეტულ სიტუაციაში კანონმდებლობით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა;

4.1.15. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა 21 წლამდე ასაკის უფლებამოსილი მძღოლი ან/და მას არ გააჩნია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის, მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პოლისით);

4.1.16. სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებისას (მათ შორის ლაფეტით გადაზიდვისას, ან ბუქსირებისას), ისე მისი დატვირთვის, ან გადმოტვირთვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებენ მზღვეველის დავალებით;

4.1.17. ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების / სარეგისტრაციო მოწმობის ავტოსატრანსპორტო საშუალებაში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

4.1.18. სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალების აეროდრომის, ან აეროპორტის ტერიტორიაზე მოძრაობისას, გარდა ავტოსადგომისა;

4.1.19. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება იძებნება ან/და დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები არ ემთხვევა დაზღვეულის VIN კოდის/შასის ნომრის შესაბამის მონაცემებს;

4.1.20. დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს, ან შეეცდება გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი ან/და დოკუმენტი); ასევე, თუ დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას, ან მზღვეველს ყალბ/არასწორ ინფორმაციას აწვდის;

4.1.21. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება მონაწილეობს რბოლებში, ან ნებისმიერი სახის გამოცდებსა თუ შეჯიბრებებში (Test Drive, Off Road) ან/და ავტოტრანსპორტის გადაადგილდება იმ მიწის ზოლში, ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირზე, რომელიც არ განეკუთვნება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის დადგენილ ტერიტორიას;

4.1.22. თუ დამზღვევმა/უფლებამოსილმა მძღოლმა განზრახ ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;

4.1.23. დაზღვევის პირობებით გამონაკლისს წარმოადგენს ზიანი / ზარალი, რომელიც გამოწვეულია, დადგა ან გაზრდილია:

4.1.23.1. დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ქმედებით ან უმოქმედობით;

4.1.23.2. დამზღვევის/დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, რომელიც შესაძლებელია დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დარღვევად შემთხვევის შეფასებით. მზღვეველის წინასწარი შეფასებით უხეშ გაუფრთხილებლობას განეკუთვნება შემდეგი შემთხვევები:

- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოძრაობს საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შესაბამის მონაკვეთში განთავსებული საგზაო ნიშნით დადგენილი დაშვებული მაქსიმალური სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ/სთ ან მეტით;
- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შუქნიშნის მაშუქი სიგნალების დაუმორჩილებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აღნიშნული აუცილებელია მესამე მხარის სიცოცხლის ან და ქონების გადარჩენისთვის;
- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ ზოლში, ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლში.

შენიშვნა:** ზემოაღნიშნული ჩამონათვალი წარმოადგენს არასრულ სიას, რომლითაც უხეში გაუფრთხილებლობის დადგენის შესაძლებლობა არ შემოიფარგლება სრულად.

4.1.24. ზარალი გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი, ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით; ომით (გამოცხადებული, თუ გამოუცხადებელი), შემოჭრით, საომარი მოქმედებებით, ტერორიზმის აქტით, ან მისი მცდელობით, სამოქალაქო მღელვარებით, სამხედრო (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ) ან უზურპირებული ხელისუფლების მოქმედებით (მათ შორის, კონფისკაცია, ჩამორთმევა, ან მათი მცდელობა);

4.1.25. ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების ხარჯები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული სერვისცენტრის მიერ გაცემული განფასებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველი არ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

4.2. სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო პრემია

4.2.1. სადაზღვევო თანხა, ლიმიტი, ქველიმიტი, სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის ვადები და სხვა არსებითი პირობები განისაზღვრება პოლისის გაფორმებისას და მითითებულია კონკრეტულ პოლისში.

4.2.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად, ან პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4.2.3. დამზღვევის მიერ, პოლისით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, ამგვარი დარღვევიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა (საშეღავათო პერიოდი) გამოასწოროს დარღვევა და სრულად დაფაროს მიმდინარე გადასახდელი პრემია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდგომ, მზღვეველი თავისუფლდება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან დამზღვევისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამზღვევი, სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევიდან 28 (ოცდარვა) კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს გრაფიკით გადასახდელ პრემიას, მაშინ, ამ ვადის გასვლის შემდგომ, მზღვეველი იტოვებს უფლებას გააუქმოს / შეწყვიტოს, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამ შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაუხადოს მზღვეველს ხელშეკრულების შეწყვეტამდე/პოლისის გაუქმებამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეწყვეტა/გაუქმების თარიღისათვის ადგილი ქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაუხადოს მზღვეველს პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი. პრემიის გადახდა უნდა მოხდეს შეწყვეტა/გაუქმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

4.2.4. დამზღვევის მიერ, საშეღავათო 14-დღიანი პერიოდის შემდეგ მომდევნო 14 (თოთხმეტ) დღეში სადაზღვევო პრემიის დავალიანების სრულად გადახდის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება დაიწყება დავალიანების დაფარვის დღის 24:00 საათიდან. ხოლო, საშეღავათო პერიოდის ბოლო დღის 24:00 საათიდან დავალიანების დაფარვის დღის 24:00 საათამდე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა/ები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

4.2.5. ნებისმიერი სადაზღვევო პირობის ცვლილების, მათ შორის დამზღვევის მიერ უფლებამოსილი მძღოლის დამატების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ განსაზღვრული დამატებითი პრემია უნდა იყოს გადახდილი ერთიანად, ცვლილების განხორციელებისთანავე. ამასთან მზღვეველი იტოვებს უფლებამოსილებას, მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე, არ განახორციელოს არსებული დაზღვევის პირობის ცვლილება.

4.2.6. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად პრემიის დროულად გადაუხდელობა (მათ შორის არასრული ოდენობით გადახდა) არ იწვევს დაზღვევის ავტომატურ შეწყვეტას.

4.2.7. პოლისში მითითებულ ვადაში, პრემიის ერთჯერადი/პირველი ან გრაფიკით გათვალისწინებული ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება წყდება/პოლისი უქმდება.

4.2.8. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის დროს, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან მთლიანი სადაზღვევო პრემიის ერთდროულად გადახდა.

4.2.9. სადაზღვევო პერიოდში, მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურების შედეგად ანაზღაურების ლიმიტის შემცირების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ განსაზღვრული დამატებითი პრემიის გადახდის სანაცვლოდ, დამზღვევი უფლებამოსილია მოითხოვის მისი აღდგენა.

4.3. სადაზღვევო ანაზღაურება

4.3.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემასა ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენიდან, ხოლო მზღვეველის დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში ყველა საჭირო დოკუმენტის მოპოვებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3.2. ზარალის ანაზღაურების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ანაზღაურება გაიცემა მხარეთა შორის ზარალის რეგულირების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4.3.3. ზარალის დარეგულირებისათვის, დამზღვევმა/მოსარგებლემ მზღვეველს უნდა მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები/საბუთები სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა (აღნიშნული

ვადის დარღვევის შემთხვევაში ზარალი არ განიხილება, თუ ეს არ არის გამოწვეული პატივსადები მიზეზით, რომელიც დადასტურებულ იქნეს შესაბამისი მტკიცებულებით):

4.3.3.1. განაცხადი ავტოსატრანსპორტო საშუალების ზარალის ანაზღაურებაზე სადაზღვევო შემთხვევის აღწერით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით;

4.3.3.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა;

4.3.3.3. იმ პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და მართვის მოწმობა, რომელიც მართავდა დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში;

4.3.3.4. ცნობა ზემოთხსენებული მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლების ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე;

4.3.3.5. დოკუმენტი/დოკუმენტები საპატრულო პოლიციიდან სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);

4.3.3.6. საბანკო რეკვიზიტები;

4.3.3.7. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმეებისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა პირების შესახებ ინფორმაციის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.3.3.8. სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შემთხვევის დროს, სტიქიური მოვლენის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.3.3.9. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი სხვა საჭირო საბუთი/დოკუმენტი;

4.3.4. წინამდებარე პირობების მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევმა/მოსარგებლემ დამატებით უნდა მიაწოდოს მზღვეველს:

4.3.4.1. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული თითოეული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის თაობაზე, შესაბამისი უფლებამოსილი პირის / ორგანოს მიერ შედგენილი აქტი;

4.3.4.2. სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის, ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. ასევე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ, ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;

4.3.4.3. დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა, ცნობა გარდაცვალების შესახებ და სამკვიდრო მოწმობა;

4.3.4.4. საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;

4.3.4.5. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც დაფიქსირებულია დამზღვევის/მოსარგებლის მიერ, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით, ხოლო თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი;

4.3.5. საპატრულო პოლიციის გამოძახების ვალდებულება არ ეკისრება დამზღვევს, თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის (მოძრაობის) დროს, საგნის გარეგანი მექანიკური ზემოქმედების შედეგად დაზიანდა მხოლოდ საქარე მინა, თუმცა, თუ ასეთი ზარალის ხასიათიდან გამომდინარე მზღვეველი ვარაუდობს, რომ ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს ვანდალიზმით, ან დამზღვევის/ მოსარგებლის /უფლებამოსილი მძღოლის, ან ნებისმიერი მესამე პირის განზრახი ქმედებით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს მოსთხოვოს პოლიციის გამოძახება;

4.3.6. დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლოა შეიცვალოს (შემცირდეს ან გაიზარდოს) მზღვეველის მხრიდან ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.

4.3.7. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის/ მოსარგებლის მხრიდან ვერ ხერხდება დაზიანებულ ავტონაწილებზე მზღვეველზე საკუთრების უფლების გადაცემა, მზღვეველი უფლებამოსილია ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს სადაზღვევო ანაზღაურებიდან. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისგან/ მოსარგებლისაგან მოითხოვოს შესაბამისი თანხის უკან დაბრუნება;

4.3.8. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია მზღვევლის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან და ასანაზღაურებელ თანხაზე შეთანხმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ხელი მოაწეროს სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტს.

4.3.9. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მთლიანი ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხას;

4.3.10. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას ყოველ ჯერზე აკლდება პოლისში მითითებული პირობითი/უპირობო ფრანშიზის ოდენობა.

4.3.11. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა მცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების ღირებულებით, ამასთან, მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს ზარალი, ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე, ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად გადადის მზღვეველზე და მზღვეველი ვალდებულია ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის ქმედება, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია ამ მიზნის განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზებით (რაც არ არის დაკავშირებული წინამდებარე პირობებით

გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) ვერ ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე/დაზიანებულ ნაწილებზე მზღვეველისათის საკუთრების უფლების/ მფლობელობის გადმოცემა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით და არ ხდება შეთანხმება ავტოტრანსპორტის/დაზიანებული ნაწილების რეალიზაციის წესზე, ან/და სრულად განადგურებული ავტოტრანსპორტი დატვირთულია გირავნობით, ან/და რეგისტრირებულია სამართლებრივი შეზღუდვა/ აკძალვა, ან/და არსებობს სხვა გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის მზღვეველისათვის საკუთრების უფლების გადმოსვლას, მზღვეველი უფლებამოსილია განადგურებული ავტოტრანსპორტის/ დაზიანებული ნაწილების ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია - მზღვეველი მოითხოვს ასეთი თანხების ანაზღაურება დაბრუნებას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა ხდება მზღვეველის ან მის მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ.

4.3.12. იმ შემთხვევაში თუ გაცემული იყო სადაზღვევო ანაზღაურება და არ მოხდა სადაზღვევო თანხის აღდგენა, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება უკვე ანაზღაურებული თანხის ოდენობით.

4.3.13. თუ მიმდინარე სადაზღვევო პერიოდში ზარალის/ზარალების ჯამური ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის 40%-ს, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროისათვის დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა სრულად;
სრული ზარალის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროისათვის დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობით.

4.3.14. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება რაიმე სახის დავალიანება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა. ამასთან, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისთვის დამზღვევს ერიცხება მზღვეველის მიმართ ნებისმიერი სხვა სახის დავალიანება, მათ შორის, გამომდინარე სხვა დაზღვევის ხელშეკრულებ(ებ)იდან, მზღვეველს აქვს უფლება გაქვითოს მისი მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ სადაზღვევო ანაზღაურებიდან.

4.3.15. მზღვეველი უფლებამოსილია ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილი/ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ნაწილი/ნაწილები ექვემდებარება აღდგენას, ხოლო ავტორიზირებული სერვისცენტრი უარს აცხადებს ამ ნაწილის/ნაწილების აღდგენაზე, მზღვეველი თავისი შეხედულებისამებრ განახორციელებს ამ ნაწილების აღდგენას სხვა სერვისცენტრში.

4.3.16. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის ავტოტრანსპორტი დაზღვეულია ასევე სხვა სადაზღვევო პოლისით (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს მისი გაცემული პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ჯამის (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

4.3.17. სადაზღვევო შემთხვევისას, მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში მასზე გადადის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს/მოსარგებლეს გააჩნია ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ;

4.3.18. თუ დამზღვევი, ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის პასუხისმგებელი პირის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე, ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა დამზღვევის, ან მოსარგებლის ქმედებით, მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან. უკვე ანაზღაურებული ზარალის შემთხვევაში, კი დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია უკან დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა, მზღვეველისაგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში;

4.3.19. ქურდობით ან/და ყაჩაღობით ან მათი მცდელობით დამდგარი ზარალი დარეგულირდება შესაბამის საქმეზე გამოძიების დასრულების ან/და ბრალეული პირის გამოვლენის შემდეგ.

4.3.20. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმე/სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების პოვნა ვერ მოხერხდა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, იმ პირობით, რომ, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება ნაპოვნი იქნა, ან სისხლის სამართლის საქმის დამთავრების შედეგად/კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა გაცემულიყო, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ, ყველანაირი გასაჩივრების გარეშე, მზღვეველისაგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა სრული ოდენობით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან;

4.3.21. მზღვეველი უფლებამოსილია მიანიჭოს დამზღვევს შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულებელყოფდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

4.3.22. მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ მიზეზთან/მიზეზებთან, ზიანის ოდენობასთან და ა.შ. დაკავშირებით ჩაატაროს შესაბამისი ექსპერტიზა.

4.4. დამზღვევი / მოსარგებლე ვალდებულია

4.4.1. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;

4.4.2. განუბაჟებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შემთხვევაში დაზღვევიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის ვადაში განაბაჟოს ავტოსატრანსპორტო საშუალება და წარმოადგინოს შესაბამისი ტექ. პასპორტი, რის გარეშეც ზარალი ანაზღაურებას არ ექვემდებარება, მიუხედავად იმისა ფაქტობრივად განხორციელებული აქვს თუ არა დაზღვეულს განბაჟება.

4.4.3. დაზღვევამდე წარმოადგინოს ავტომობილში დამონტაჟებული არაქარხნული დეტალები; ცალკეული დეტალები და *აქსესუარების ჩამონათვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას აანაზღაუროს ასეთი დეტალების/მოწყობილობებისათვის სადაზღვევო რისკების შედეგად დამდგარი ზიანი.*

4.4.4. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ზარალის შესამცირებლად და დაკარგული ავტოსატრანსპორტო საშუალების უკან დასაბრუნებლად მიიღოს ყველა საჭირო ზომა;

4.4.5. დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისების (გაყიდვა ან იჯარით გადაცემა), მისი გამოყენების, ან დაზღვევამდე მითითებული მოცემულობების ცვლილების თაობაზე;

4.4.6. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში;

4.4.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იმოქმედოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით

4.4.8. სადაზღვევო შემთხვევისას:

4.4.8.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოს საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (გარდა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანისა); დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ცხელ ხაზზე და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

4.4.8.2. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულის საწინააღმდეგო მოთხოვნა გაიცემა საპატრულო პოლიციის მიერ);

4.4.9. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ცხელ ხაზზე და იმოქმედოს მისი ინსტრუქციების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია საპატრულო პოლიციას, არ დაძრას ავტოსატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან მზღვეველის (მისი ინსტრუქციის შესაბამისად) და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მოსვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოზე ასახვა);

4.4.10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ (პატივსადები მიზეზების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს გონივრულ ფარგლებში);

4.4.11. მიაწოდოს მზღვეველს ზარალის რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია ოფიციალური, თუ სახელმწიფო ორგანოებიდან; ასევე მზღვეველის მიერ მოთხოვნილი, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირებისათვის საჭირო ინფორმაცია, თუ დოკუმენტაცია;

4.4.12. მიაწოდოს მზღვეველს მზღვეველის მხრიდან ზარალზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია, თუ ინფორმაცია (მათ შორის მესამე პირისაგან ნებისმიერი ფორმით მიღებულ კომპენსაციაზე), მისცეს უფლება დამზღვევის სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი და ხელი შეუწყოს მას სუბროგაციის უფლების განხორციელებაში;

4.4.13. მზღვეველთან შეთანხმების გარეშე არ დაიწყოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება;

4.4.14. უზრუნველყოს მზღვეველის წარმომადგენელის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერება;

4.4.15. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლებსა და მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობები;

4.4.16. საკუთრებაში გადასცეს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული, მზღვეველის მიერ შეცვლილი დაზიანებული ავტონაწილები, ხოლო მზღვეველის მიერ სრული ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში - განადგურებული/დაკარგული ავტოსატრანსპორტო საშუალება. შეასრულოს აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო ყველა ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია და აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით;

4.4.17. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და რეკომენდაციები;

4.5. მზღვეველი უფლებამოსილია

4.5.1. ნებისმიერი სადაზღვევო პირობის ცვლილების, მათ შორის დამზღვევის მიერ უფლებამოსილი მძღოლის დამატების მოთხოვნისას შეაფასოს რისკი, და თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება პოლისზე ცვლილების განხორციელების თაობაზე - მაგ.: უფლებამოსილი მძღოლის დამატება ან დამატებაზე უარის თქმა, დამატებითი პრემიის გადახდა ან იგივე პრემიის ფარგლებში მომსახურება და სხვა.

4.5.2. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობისა, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

4.6. მზღვეველი ვალდებულია

4.6.1. წინამდებარე ხელშეკრულების და დაზღვევის პოლისის პირობების შესაბამისად აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი;

4.6.2. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4.7. დაზღვევის გაუქმება

4.7.1. დამზღვევმა დაზღვევის გაუქმების თაობაზე წერილობით 30 (ოცდაათი) დღით ადრე უნდა შეატყობინოს მზღვეველს.

4.7.2. დამზღვევის ინიციატივით პოლისის ნებისმიერი ვადაზე ადრე შეწყვეტისას იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის ადგილი ჰქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, "მზღვეველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "დამზღვევს" და თავის მხრივ "დამზღვევი" ვალდებულია გადაუხადოს "მზღვეველს" წლიური პრემია სრულად.

4.7.3. დამზღვევის ინიციატივით პოლისის ნებისმიერი ვადაზე ადრე შეწყვეტისას, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს არ უფიქსირდება ზარალი და დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო ანაზღაურებას, პოლისის გაუქმებისას, პრემიის დაბრუნების გამოთვლა ხდება შემდეგი წესით:

4.7.3.1. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პრემია გადახდილია სრულად, დამზღვევს დაუბრუნდება გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებელი პრემიის 90 %;

4.7.3.2. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად დაფაროს გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია და დამატებით - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 10%.

4.7.4. მზღვეველს აქვს უფლება დამზღვევის/დაზღვეულის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის ან არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში არ აანაზღაუროს ზარალი, შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ და მოთხოვოს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისათვის შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული პრემიის გამომუშავებული ნაწილი და დამატებით - გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის 10% სრული პრემიის გადახდა. პრემია. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმების თარიღისათვის ადგილი ჰქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი, ხოლო უკვე გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

i) მზღვეველს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს დაზღვევა, რის თაობაზეც დამზღვევს გაეგზავნება წერილობითი შეტყობინება გაუქმებამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ დაზღვევის გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს დამზღვევის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, დამზღვევს უკან დაუბრუნდება გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებული პრემია სრულად. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად დაფაროს გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მიუხედავად სადაზღვევო შემთხვევის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების არსებობისა, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი (გამოუმუშავებელი) გადაუხდელი ნაწილი დამზღვევის მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო უკვე გადახდილი გამოუმუშავებელი პრემია სრულად დაუბრუნდება დამზღვევს. წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაზღვევა შეწყდება - ავტომატურად მისი გაცემის თარიღით, თუ სრულად არ არის გადახდილი პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდგომი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე;

ii) ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს. ასევე, წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4.7.5. იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმებულია დისტანციურად ან სარეწს გარეთ, დამზღვევი უფლებამოსილია ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მისი დადებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

4.7.6. დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე პირობების 4.7.6. პუნქტის საფუძველზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და, შესაბამისად, ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება :

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელის მოქმედების ვადა უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

4.7.7. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:

4.7.7.1. დაზღვევის პირობების 4.7.6. პუნქტის საფუძველზე, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

4.7.7.2. ხელშეკრულებაზე 4.7.6. პუნქტით გათვალისწინებული წესით უარის თქმის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია:

ა) დამზღვევს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი

თანხა, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

4.8. დამატებითი პირობები

4.8.1. დაზღვევა ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი თარიღის 24:00 საათზე და მოქმედებს დასასრული თარიღის 24:00 საათამდე, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ამასთანავე დაზღვევა ძალაში შედის დამზღვევის მიერ ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის ან განვადების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის გადახდის შემდეგ, გადახდის დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ იმ სადაზღვევო პოლისზე, რომლის მოქმედების ვადა აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, სრულად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

4.8.2. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის ზრდის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ დაეთანხმება მზღვეველის მიერ შეთავაზებულ შეცვლილ პირობებს ან არ დამატებით პრემიას მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს სადაზღვევო პოლისი აღნიშნული ცვლილებების დადგომის მომენტიდან და შეწყვიტოს დაზღვევის მოქმედება წინასწარი ერთთვიანი ვადის დაცვით. ვადის დაცვა არ არის საჭირო, თუ სადაზღვევო რისკის ზრდა გამოწვეულია დამზღვევის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად;

4.8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

4.8.4. სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე დაზღვევის პირობებიდან (ხელშეკრულებიდან) ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი დაზღვევის პირობების (ხელშეკრულების) ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს;

4.8.5. დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებთან;

4.8.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში დამდგარი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ასახოს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს"/სხვა მსგავსი ხასიათის ორგანიზაციებს საინფორმაციო ბაზაში და ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის;

4.8.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, დამზღვევი ადასტურებს, რომ მზღვეველი უფლებამოსილია დამატებითი თანხმობისა და უფლებამოსილების მინიჭების გარეშე მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებსა და მიიღოს ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრულ დამზღვევსა და უფლებამოსილ მძღოლებზე (უფლებამოსილი მძღოლებისათვის დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მათგან ასეთი ნებართვის მიღება) არსებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ;

4.8.8. დამზღვევი გამოხატავს თანხობას და უფლებას აძლევს მზღვეველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს წინამდებარე განაცხადში, დაცული, ასევე, მის შესახებ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/551, საიდენტ. #204470740), დაცული და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისი, როგორც მომავალი მსესხებლის/თანამსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით.

4.8.9. დამზღვევი აცნობიერებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, რომ მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4.8.10. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა შეტყობინება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია დამზღვევს მიეწოდება ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და განაცხადში/პოლისში მითითებულ მისამართზე/ადგილსამყოფელზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით.

4.8.11. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს დაზღვევის განაცხადში/პოლისში მითითებული აქვს ელექტრონული ფოსტის მისამართი ან/და ტელეფონის ნომერი, შეტყობინება ჩაბარებულად/მიღებულად ითვლება მისი გამოგზავნის დღეს.

4.8.12. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს შეტყობინება ეგზავნება დაზღვევის განაცხადში/ პოლისში მითითებულისგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება

დამზღვევის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია მის მიერ. მისამართის/ ადგილსამყოფელის/ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

4.8.13. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში მითითებულ მისამართების (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, E-Mail) ცვლილებების შესახებ. ამასთან აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, დამზღვევი ვერ მიუთითებს შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების შეცვლის ფაქტზე და მას შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა შედეგით.

4.8.14. მხარეთა შეთანხმებით, დამზღვევის მიერ მზღვეველთან დაზღვეულ ნებისმიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გავრცელდება წინამდებარე სადაზღვევო პირობები და მხარეთა შორის სადაზღვევო პირობების დამატებით გაფორმება საჭიროებას არ წარმოადგენს.

4.8.15. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევიდან გამომდინარე დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე(მომხმარებელი) უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველის იურიდიული დეპარტამენტს შემდეგი საშუალებით:

· წერილობითი პრეტენზია – მომხმარებლის მიერ ივსება საპრეტენზიო განაცხადის სტანდარტული ფორმა და ბარდება მზღვეველის კანცელარიაში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N24, სადარბაზო 1, სართული 6, ოფისი 6);

· ელექტრონული პრეტენზია – მომხმარებელი პრეტენზიას აფიქსირებს ელექტრონული წერილის სახით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნის გზით info@primeinsurance.ge მიღების შესაბამისი დასტურით;

· სატელეფონო პრეტენზია – მომხმარებელთა პრეტენზიის განხილვა ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის გზით ქოლ-ცენტრში (7/24) შემდეგ ტელეფონის ნომერზე +995 32 224 15 24/ 2 241525. სატელეფონო პრეტენზია იწერება.

ყველა სახის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.8.16. მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სადაზღვევო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მზღვეველის ცხელ ხაზზე შემომავალი ზარი იწერება.

4.8.17. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები დამუშავდება წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებისთვის და სათანადოდ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.8.18. ინფორმაცია მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს შესახებ:
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მის: ქ.თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3. ტელ: +995 32 223 44 10; ელ-ფოსტა: info@insurance.gov.ge

წინამდებარე ხელშეკრულებაზე/პირობებზე თანხმობის განცხადებამდე დამზღვევი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე პირობებს.

წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები მოქმედებს მხოლოდ დამზღვევის მიერ შევსებულ განაცხადთან და შესაბამის სადაზღვევო პოლის(ებ)თან ერთად.

მზღვეველის სახელით _____

Insurance Company Prime JSC

Digitally signed by Insurance Company Prime JSC
Date: 2024.12.11 09:35:01 +04'00'